# დროება

№ 6 საშაბათი, 25 ნოემბერი 1908 წ.

ეროვნული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „დროება“ ერთის წლით ღირ. 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხოვნები. პირადად მოლაპარაკება [illegible] დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღეამდე 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეშე ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**



**არჩილ ივანეს ძე ფიცხელაური** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას დაუვიწყარ თავის მეუღლის

**ეკატერინე ივანეს ასულისას**
(კატუშა კუნდუხოვისას)

გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოს ნიშიდან სამშაბათს, 25 ნოემბერს. წირვა წმ. ნინოს ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე. (1—638—1)

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

სამშაბათს, 25 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება

**„მხიარული ქვრივი“**

მონაწილენი: ქ-ნნი არდი, კალინინა, ოსიპოვა, ზასლავსკაია, ფერრარი, კალინინა მეორე; ბ-ნი დანილევსკი, ევლახოვი, როსოლიმა, როზანოვი, კარელინი, ლუტროვი, ულუხანოვი და სხ.

დირიჟორი **ა. ეიხენვალდი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** 25 ნოემბერს უკანასკნელი გასტროლი სარაჯიშვილისა—„მინიონი“.

**კოლეტის**

**აკაკი წერეთლის იუბილეი**

კვირას, 1908 წლის დეკემბრის 7 ს

I

**დილის დღესასწაული**

1. დილის 10 ს. **აკაკი წერეთლის** ბინაზე შეიკრიბებიან არჩეული პატივისმცემელნი და მათის თანახლებით იუბილარი 10 ნახევარ ს. გაემგზავრება სიონის ტაძარში, სადაც გადახდილი იქნება პარაკლისი.

2. პარაკლისის გათავების შემდეგ იუბილარი დაბრუნდება სახაზინო თეატრში.

3. 12 საათზე სახაზინო თეატრის სცენაზე იუბილარი მიიღებს დეპუტაციებისაგან. მილოცვების წინ ხორო და ორკესტრი შეასრულებენ საიუბილეო კანტატას. დღის დღესასწაული გათავდება 4 ს. საღამოს იუბილარის სიტვით.

II

**საღამოს დღესასწაული**

საღამოს 8 ნახევარ ს. სახაზინო თეატრში გაიმართება საუბილეო წარმოდგენა.

**თამარ ცბიერი** — მეორე მოქმედება
**პატარა კაზი** — მეორე მოქმედება

**ცხოველი სურათი ატოთეოზი**

დეპუტაციები, რომელნიც ვერ მოასწრებენ დღითი მილოცვას, მიულოცავენ იუბილარს საღამოთი, პირველსა და მეორე წარმოდგენას შუა.

ბილეთები სახაზინო თეატრში შესახვლელად როგორც დღის, ისე საღამოს დღესასწაულისთვის იყიდება წ.-კითხვის საზოგადოებაში. (5—ე.—1)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** განისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ზუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორდანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კირაჩი, N 9. (უ)

**ექიმი ვ. ღამგაშვილი** გადავიდა ბოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში, იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა **გრიგ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—6.—7)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს მინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელმწიფო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოდაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პრ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. ფერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სახლი აბდუშელიმოვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. ბლიმბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პრიტეზები. ამდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—33)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსტნატი, სამარდე ბილის, ბუშტის და თირკმლების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარწანა). (120—ფ.—76)

**სამკურნალო** ქუთაისში ქირურგიული და დედათა სნეულებისა ტერაპევტიულ განყოფილებით, მუდმივ საწოლებით და მოსალოდნელად ფასანი

**ექიმი ევ. ბოკერიასი**

[illegible] წლის 10 ნოემბრიდან გადადის პრინცესა მიურატის სახლში, გიმნაზიის ქუჩასა, სადაც წინად თოფურიას სამკურნალო იყო. (6—10)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამ. **კურნალისა მ. გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორდანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—35)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **მ. ი. ბეგიშვილი** იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბაღანგანის ქუჩა, ფიფინოვის სახლი, N 4. (25—6—11)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში მინაგანის, ყურის,ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიკარაძისა (6—16)

**ექიმი ბ. ე. ხოჯაპარუხოვი** ყოფილი ასისტენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიიღება სიფილისით, სამარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. ხოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—1)

**ფერშალი** ლეონტი ი. **ბარკალაია** უცრის ყვავილს. იღებს ყელჭირვეების, ნაინაგისა და ვენერიულ ავადმყოფთ ყოველდღე 3—6 საათამდე. კოკოლის ქუჩა N 68. (1[illegible]—613—11)

**აკაკის**
**საიუბილეო კომიტეტი**

**ამით საყოველთაოდ აცხადებს:**

1. აკაკის დღესასწაული დანიშნულია დეკემბრის 7-ს და დაიწყება დილის 10 საათზე.

2. დეპუტაციებმა ახლავე უნდა აცნობონ მთავარ კომიტეტს ჩამოსვლის შესახებ (ვისგან და რამდენი კაცისაგან იქნება დეპუტაცია), რომ ამის მიხედვით შემუშავდეს წესრიგი.

3. დეპუტაციებმა 6 დეკემბერს წ.-კითხვის საზოგადოებაში უნდა მიიღონ შესასვლელი ბილეთები.

4. აკაკის რჩეულ ლექსთა კრებული ავტორს ბიოგრაფიით და სურათით (64 გვ.) დაეთმობა ადგილობრივ კომიტეტებს 1 კაპეიკ ნახევარათ ცალი. ამის მიხედვით ახლავე უნდა მოიწეროონ კომიტეტებმა, თუ ვის რამდენი უნდა წიგნი და ხვედრი ფული გამოგზავნონ.

5. ღირ ბარათი აკაკის სურათით ცალი ღირს ორი კაპ.

6. აკაკის ფოტოტიპიური სურათი 30—40 სანტ.) გაიყიდება ცალი 40 კ.

7. აკაკის სულ დიდი სურათი გასაყიდად არ მოიპოვება და ვისაც სურს საგანგებოდ უნდა შეუკვეთოს ფოტოგრაფიას. (6—უ.—1)

**გამოვიდა და იყიდება**

ბრეშაურა **კიტა აბაშიძისა:**

**„აკაკი წერეთელი“**

(სალირიკო პოეზია)

**ფასი სამი შაური.**

(10—უ.—1)


**ტფილისი, 25 ნოემბერი.**

როგორც დეპეშამ გადმოგვცა, 20 ნოემბერს პეტერბურგს გაიხსნა ბიუროკრატიის საკუთარ პარლამენტის მეორე სესია. ჩვენ ვამბობთ ეგრეთ წოდებულ „ადგილობრივ მეურნეობის საქმეთა საბჭოზე“, რომელიც შარშან შეკმნა მთავრობამ და რომლის არსებობას დიდი მნიშვნელობას აძლევს. იკრიბებიან ერობის და საქალაქო თვითმართველობის წარმომადგენელნი, მთავრობის არჩევით პროვინციალური მოხელენი და ცენტრალურ მთავრობის დაწესებულებათა წარმომადგენელნი მთავრობის განზრახვათა და პროექტების განსახილველად. საბჭოს რჩევის ხმა აქვს და არავისთვის მისი დადგენილებანი სავალდებულო არ არის. მას საკუთარი ინიციატივა არა აქვს, მხოლოდ ის უნდა გაარკვიოს და გაარჩიოს, რასაც მთავრობა მიაწოდებს. როგორც ჰხედავთ, ეს ის რჩევითი დაწესებულებაა, ნახევრად ბიუროკრატიული და ნახევრად საზოგადოებრივი, რომელიც წინანდელ თვითმპყრობელ ბიუროკრატიას უნდოდა დაეარსებინა პარლამენტის მაგიერ. რა საჭიროა იგი ეხლა, როცა ორი საკანონმდებლო პალატა არსებობს, ამისი გაგება ძნელია. ის კანონპროექტები, რომელთაც საბჭო იხილავს, თუ მათი წინასწარი დამზადებაა საჭირო, თამამად შეეძლოთ გადაეცათ თუნდ ერობისათვის, თუ მთავრობის ლაბარატორიებიდან მათი პირდაპირი გადაცემა არ შეიძლებოდა სახ. სათათბიროსათვის. ამ დაწესებულების შექმნა იმდენად გაუგებარია, რომ შარშან იმასაც ჰფიქრობდნენ, ალბად სახალხო წარმომადგენლობის მოსპობა ჰსურთ და წინდაწინვე იმის სურროგატს ამზადებენო. შარშან ის იყო კიდევ საფიქრებელი, რომ მთავრობა მეორე სათათბიროს არ ენდობა და იმიტომ აწესებს საკუთარ პარლამენტს; მაგრამ ახლა, მესამე სათათბიროს გვერდით, რაღა საჭიროა ახალ რჩევის დაწესებულების არსებობა? იქნება განზრახ ართულებენ საქმეს, რათა გააჭიანურონ იძულებული და აუცილებელი რეფორმების განხორციელება?!

რომ ეს საფიქრებელია, ცხადად ვხედავთ „ადგილობრივ მეურნეობის საქმეთა საბჭოს“ მოღვაწეობიდან. შარშან, პირველ სესსიაში, საბჭოს წარედგინა კანონ-პროექტი ვოლოსტისა და სოფლის მმართველობის შესახებ. საბჭოს თითქმის არავითარი ცვლილება არ შეუტანია პროექტის იმ საფუძვლებში, რომელნიც მთავრობას ჰქონდა შემუშავებული და პროექტი ისევ იმავ სახით ახლა წარედგინა სახ. სათათბიროს. მაშასადამე, მისი წარდგენა სათათბიროში შარშანვე შეიძლებოდა და ერთი წელიწადი მოგებული იქნებოდა. შარშანვე საბჭომ განიხილა პროექტი საერობო საარჩევნო ცენზის შეცვლის შესახებ, მაგრამ მთავრობას იგი დღემდისაც არ წარუდგენია სათათბიროსათვის. განა სათათბიროს, სადაც იმდენი საეროგო და საზოგადო მოღვაწეა, თვითონაც არ შეეძლო ამ პროექტის განხილვა? წელს, ახალ სესსიაში, საბჭოს წარუდგინეს საგუბერნიო და სამაზრო მმართველობათა რეორგანიზაციის პროექტები. მინ სტრ-პრეზიდენტმა, რომელმაც გახსნა საბჭოს სესსია, თავის სიტყვაში ასეთი სანუგეშო პერსპექტივა დ ხატა: საგუბერნიო და სამაზრო მმართველობათა რეორგანიზაცია იმდენად რთული საქმეა, რომ თქვენ იმის განხილვას წელს ვერ დაამთავრებთ; წელს განიხილეთ მისი მთავარი პრინციპები და შემდეგ სესსიაში, 1909 წელს, შემოდგომაზე, მთავრობა დამუშავებულ კანონპროექტს მოგაწოდებთო. მაშასადამე, ეს რეფორმა სათათბიროდან მიაღწევს მხოლოდ სამი წლის შემდეგ! ნახეთ ეხლა, რა შეიდეგი მოსდევს ამას. სტოლიპინმა ხსენებულსავე სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოს მეორე მთავარ საქმედ იქნება, როცა საგუბერნიო და სამაზრო რეფორმას მორჩება, ერობის ახალი დებულება შეიმუშაოსო. გამოდის, რომ საერობო რეფორმის პროექტს საბჭო ორის წლის შემდეგ განიხილავს და მერე იგი წარედგინება სათათბიროს! ამნაირად, ადგილობრივ თვითმართველობის რეორგანიზაცია, რომელსაც ამდენი ხანია მოელის რუსის ხალხი, რომლის საფუძვლები კარგა ხანია გამორკვეულია, კიდევ რამდენიმე წლით იქნება გადადებული. სახ. სათათბიროს ჰკვებავენ ათას და ათიათას უმნიშვნელო წვრილმან კანონ-პროექტებით, მთავარი საქმეები-კი, რომელთა დაყოვნება ესოდენ ტანჯვაში ამყოფებს რუსეთს, ბიუროკრატიის მიერ შექმნილმა საგანგებო დაწესებულებამ უნდა აჯანჯლოს და აჭიანუროს წლებიდან წლებამდე! ასე იჩქარის „გამარჯვებული“ მთავრობა დაპირებულ განახლების საქმისათვის...

რაც შეეხება მთავრობის მიერ დაწყებულ რეფორმათა შინაგან ღირსებას, ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. საკმარისია აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ მომავალ საგუბერნიო და სამაზრო მმართველობის საქმეში საზოგადოებრივ ელემენტის გაძლიერებას-კი არა ჰფიქრობენ, არამედ ადმინისტრატიულ უფლების გაერთიანებასა და გაძლიერებას, საზოგადოებრივ ელესენტებიდან მთავარი ყურადღება თავადაზნაურობის უფლებისა და პრესტიჟის გადიდებას ექცევა: მაზრის სათავეში მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი უნდა დადგესო. მთელი რეფორმა გათვალისწინებულია შემდეგის ორიგინალურის თვალთსაზრისით: რევოლიუციის დროსაო, სთქვა სტოლიპინმა, აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ, სოფლად და ქალაქად, მთავრობას არა ჰყოლია ძლიერი და გაერთიანებული ადმინისტრაციაო. განზრახულმა რეფორმამ უნდა შეჰქმნას ასეთი ძლიერი ადმინისტრაცია, რომელიც მტკიცე აღმსრულებელი იქნება მთავრობის პოლიტიკისა ადგილობრივაო. „ყველა გზას რომში მივყეართ“—განათლება რუსეთისა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ძველი განსაკუთრებული მდგომარეობა დაკანონდეს მთავრობისა და ბიუროკრატიის უფრო გასაძლიერებლად. ასეთ პოლიტიკურს ვითარებაში მართლა სჯობს, რომ სრულიად შეჩერდეს საკანონმდებლო მუშაობა...

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთ „ალში“ (№ 16) წერილია დაბეჭდილი ქართულ თეატრის შესახებ ამ სათაურით: „რას ნიშნავს ეს?“ წერილში ის აზრია გატარებული, რომ ქართულ თეატრიდან განდევნეს დამსახურებული არტისტები ქ-ნი ნატ. გაბუნია-ცაგარლისა და ბ-ნი კონსტ. ყიფიანიო. გაზეთი ამბობს:

ეზლა ვიკითხოთ, როგორ მეხვდა ამ ამბავს ქართველი საზოგადოება? რა თქვა ამის შესახებ ადგილობრივმა პრესამ? ერთად-ერთი გაზეთი, რომელმაც (პ. პავლოვიჩის პირით) აღნიშნა ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტი კომენტარიებით თავის ფურცლებზე, ეს „თფ. ფურცელია“. რატომ არაფერს ამბობს საზოგადოება? რატომ არაფერს ამბობენ სხვა გაზეთები? ნუ თუ მათ არ შესტკივათ გული ქართული თეატრისადმი? მათ ხომ ჩვენ ყურები ჯამოგვიჭედეს კულტურულ მუშაობაზე ყვირილით და რათ რჩებათ უყურადღებოთ კულტურულ საქმის ასეთი ამკარა ღალატი? რატომ არაფერს ამბობს თვით ის გაზეთი, რომელიც ზემოდ მოყვანილ ქებათა-ქებას ასწამდა ქ-ნ გაბუნია-ცაგარელს? ნუ არ ესმით, როგორ ისწენება ჩვენი ხელოვნების ტაძარი, როგორ შიდლიპულ გზაზე არიან შემდგარი ჩვენი თეატრის მესვეურ-ინტრიგანები? რატომ არ იკითხავს ქართველი საზოგადოება, რათ განდევნეს დასიდან ქ. გ.-ცაგარელი და კ. ყიფიანი? ამასთანავე რათ არ მოსთხოვენ დასში „გაბატონებულ ინტრიგანებს ძველ ფიდვებს. ვისი ძეოზებით გაექნენ სამშობლო სცენას ჩვენი თეატრის სიამაყენი და დამამშვენებელნი: ეფემია მესხი, ნინო ჩხეიძე და ვლ. ალ.-მესხიშვილი? ყველაფერს სახდვარი აქვს, სახოგადოების მოთმინებასაც უნდა ქონდეს სახდვარი. ცხადი და ამკარაა, „დანიის სამეფოში რაღაც დამპალა“. დროა ფარდა აეხადოს ყველაფერს! დროა ქართველმა საზოგადოებამ გაიგოს, ვინ არიან მისი ხელოვნების ტაძარის მტრები, ვისი მეოზებით გაურბიან ქართულ სცენას საუკეთესო ძალები და ვინც არ გაურბის ამ საუკეთესოებში, იმათაც ისტუმრებენ დასიდან. დროა საზოგადოებამ დაამტკიცოს, დამტკიცდა ის მოქალაქეობრივად, თუ ჯერ კიდევ უხუსურია...

იმის შესახებ, რომ ქართული თეატრი დაქვეითებულია, რომ მისი საქმეები კარგად ვერ მიდის და საჭიროა ამ თეატრის გამოკეთება, ერთი კი არა, ოცი და ორმოცი წერილი დაბეჭდილა ჩვენს გაზეთებში, ამასთან ამის შესახებ პირველად ხმა ამოიღო არა „ტიფ. ლისტოკ“-მა, რომელსაც ამ ბოლო დროს დიდ რეკლამას უწევს „ალი“, არამედ სხვა გაზეთებმა. მაგრამ მაგარი ის არის, რომ ხსენებულ წერილის ავტორს ქართულ თეატრში რაღაც კერძო ხასიათის არა სასურველი საქმეები აღმოუჩენია. ჩვენ ძალიან გვაოცებს ამ ავტორებისა და გაზეთების საქციელი: თუ კი იციან რამე ასეთი, რატომ პირდაპირ არ აცხადებენ, რაა სახელდობრ, და არ ამზეურებენ იმათ, ვინც, მათის სიტყვით, განდევნეს ქართულ თეატრიდან ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნინო ჩხეიძე, ეფემია მესხი, კ. ყიფიანი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ჩვენ, სწორე მოგახსენოთ, არაფერი გაგვიგონია ალექსი-მესხიშვილის, ეფემია მესხის და სხვების განდევნაზე ქართულ თეატრიდან.

სრულებითაც არა გვაქვს სურვილი დავიცვათ ქართული თეატრის დღევანდელი მეთაურნი, მაგრამ ვამბობთ, რომ ასეთ საქმეში მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი და „მოქალაქობრიობის“ აყღერება სულ მეტია და უადგილო. პირდაპირ უნდა ითქვას, „ვინ არიან ხელოვნების ტაძრის მტრები, ვისი მეოხებით გაურბიან ქართულ სცენას საუკეთესო ძალები“.

რაც შეეხება კერძოდ ქ-ნ გაბუნია-ცაგარელს და ბ-ნ ყიფიანს, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ისინი ქართულ თეატრიდან არ განუდევნიათ: ისინი დასში არ მიულიათ და გასტროლებზე იქნებიან მიწვეულნი. არ ვიცით, რით ხელმძღვანელობდა დრამ. საზოგად. გამგეობა, როცა ასე იქცეოდა, მაგრამ ეს კიდევ თეატრიდან განდევნას არა ნიშნავს.

* *

მკითხველებმა იციან სათათბიროს ანგარიშებიდან, რომ ამ დღეებში სათათბიროს კვლავ ჰქონდა შემთხვევა ეროვნებაზე ლაპარაკისა. შეეხნენ ციმბირის, ჩრდილოეთ კავკასიის, დონის ოლქის, არხანგელსკი გუბერნიის და სხვა განაპირა ადგილების საერობო საკითხს და, არა-თუ შეეხნენ, სათათბირომ სასურველადაც აღიარა ამ ადგილებში მალე საერობო თვით-მმართველობის დაწესება. ჩვეულებრივ, ამიერ-კავკასიაზე ჩვენს დეპუტატებს კრინტი არ დაუძრავთ და ამიტომ ჩვენი ქვეყნის შესახებ არც ეხლა არაფერი არ დაუდგენიათ. ეს არ ახალია—ძველია, მაგრამ ადგილობრივი გაზეთები მაინც საჭიროდ სცნობენ უსაყვედურონ ჩვენს დეპუტატებს დაყინებითი სიჩუმე ადგილობრივ საქმეებზე იმ იმედით, იქნება რამე შევასმინოთო. ნურას ვიტყვით ამ იმედებზე, თავი დავანებოთ ჩვეულებრივ საყვედურებსაც, აღვნიშნოთ მხოლოდ საყურადღებო ცნობა, რომელიც ბ-ნ გ. თუმანიშვილის წერილში ვიპოვეთ („ნოვოსტი ზაკავკ.“ № 18). პეტერბურგში ყოფნის დროს ის მიუწვეეიათ საერობო საკითხის კომისიაში, სადაც გამოირკვა, რომ

> სათათბიროში ეკვე შეუტანიათ სათანადო განცხადებანი ერეკის მესაზღვრე ციმბირის, დონის ოლქის, არხანგელსკის და ასტრახანის გუბერნიების და სხვათა დეპუტატებს; მხოლოდ ჩვენ დეპუტატებს არ წარუდგენიათ არავითარი განცხადება და არც კავკასიის მმართველობას წარუდგენია ჯერ ერეკის პროექტი. კომისიის სხდომაზე იყვნენ თითქმის ყველა განაპირა ქვეყნის წარმომადგენლები გარდა კავკასიისა. მეორე სხდომაზე იყვნენ, სხვათა მორის, ბ-ნი ვ. ჩხეიძე და ბარდიკი (ჩრდილოეთ კავკ. დეპუტატი), მაგრამ აქტიური მონაწილეობა გამათში არ მიუღიათ. კომისიის თავმჯდომარემ კორნილოვმა და წევრებმა კარაულოვმა და სტეპანოვმა (დეპუტატები) დამავალეს მივაწოდო საჭირო მასალა ამიერ-კავკასიიმი ერეკის მეძოლების საკითხის აღსაძრავად სათათბიროში. დავალება ვიკისრე და ამ თვემი კიდევ მივაწოდებ ყველა მასალას, მაგრამ, ცხადია, ყოველი ჩვენი ცდა ამაო იქნება, თუ თვით ჩვენი ქვეყნის დეპუტატები ენერგიულად არ მოჰკიდებენ ხელს ადგილობრივ საქმეებს, ისე, როგორც სხვა განაპირა ქვეყნების დეპუტატები.

*

იმ სისულელეების ნიმუშად, რომელთაც ჩვენი ქვეყნის შესახებ ავრცელებენ შავრაზმელები, მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს პურიშკევიჩის, მარკოვის და ბულაცელის „მოხსენებებიდან“. „ნოვ. კრ.“-ს სიტყვით, ეს „მოხსენებანი“ ამ ვაჟბატონთ წაუკითხავთ „რუსსკ. სობრანიე“-ში, სადაც დიდ-ძალი მოხელე, სახ. საბჭოს წევრი, არისტოკრატი და სამხედრო სამსახურის პირი ყოფილა. პურიშკევიჩის „მოხსენება“ ამიერ-კავკასიის საშუალო სკოლას თურმე ეხებოდა. ორატორი ამტკიცებდა, რომ

> რევოლიუციამდე ერთის წლის წინად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნაკაზკის დაბრძანებით იქაური პედაგოგები ამზადებდნენ რევოლიუციას კავკასიაში. 500 პედაგოგი ძიტნგებზე სარეკოლიუციო დადგენილებებს ადგენენ... გარყვნილება იქამდისაც მივიდა, რომ ხალაქი ხასწავლებელთა 12 წლის ძიწაფენი მეოთხეკლასელნენ დამფეძნებელ გრნების მიწვევას... ლოთობა, გარყვნილება და არმეცნიერება ჩუეცვს იქაურ სასწავლებლებში. მზრუნველი [illegible] ლოგბატინსკი, რუდოლფი [illegible] ხალხელმწიფოს მტრებს იყვნენ, მაგრამ [illegible] ზაკალი, [illegible] ითხოვს, დირექტორად დანიშნეს [illegible] ვებმა [illegible] ვინც რუსეთს [illegible] ...

ბმა დაჩოგეს. ყველაფერი ეს ხდება გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის წყალობით და თუ კავკასიაში ყველა რუსი არ ამოსწყვიტეს, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ სამეფოსეროვის სასახლეში ადგილები მიეცემინენ და გრ. ვორონცოვ-დაშკოვს გამოუცხადეს, ამიერიდან ჩვენ თვითონ დავიცავთ ჩვენ თავსაო. რუსეთმა დაიბურუს მამილი, აიღეს გუნიები, მაგრამ ეხლა გუნიები ტფილისშია გადატანილი და რუსეთის საქმე კაგანახეანი იღუპება...

თავის მხრით ბულაცელმა წაიკითხა „დაუსრულებელი სია იმ რუსთა, რომელნიც დახოცეს კავკასიელებმა“-ო, ხოლო მარკოვმა მრისხანედ მოიხსენია მაღალი ბიუროკრატია, რომელმაც ისევ გაგზავნა გრ. ვორონცოვ-დაშკოვი კავკასიაში რუსების საქმის დასაღუპავადაო. „ნოვ. ვრ.“ დასძენს, რომ ამ „მოხსენებამ“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მსმენელებზეო...

## დეპეშა

**(სათარხანის გამარჯვება)**

**ბაქო.** დანამდვილებით იუწყებიან, რომ სათარ-ხანმა ძალზე დაამარცხა ეინუდ-დოვლე, რომელიც იძულებული იყო დაჭნებებოდა სათარხანს. ეინუდ-დოვლეს მეტად დიდი ზარალი მოუვიდა. მთელი მისი ბანაკი არტილერიით და მოწყობილობით რევოლიუციონერებმა ჩაიგდეს ხელში.

## სახელმწიფო სათათბირო

**შეკითხვა.**

სხდომის განახლების შემდეგ (იხ. კვირის № გაზ. „დროება“) სიტყვას ამბობს **პურიშკევიჩი**, რომელიც, რასაკვირველია, სრულიად კმაყოფილია მთავრობის განმარტებით ვილნის საიდუმლო პოლიციის მოქმედების შესახებ და რომელიც ისევ საჩვენებლობს შემთხვევით, რათა შეუერაკჭყოს კადეტები. პირველ სათათბიროშიო, ამბობს პურიშკევიჩი, კადეტები 1-ლ მარტის გმირებს ემხრობოდნენ, მეორეში—ს.-დემოკრატებს, მესამეში კი საროსკიპო სახლების პატრონებზე ეფუძნებაანო (ტაშისცემა მარჯვნიდან). ებრაელი **ნისელოვიჩი** აღნიშნავს, შეუწყნარებელი გარემოებად უნდა ჩაითვალოს, რომ მთავრობის წარმომადგენელი ამ კათედრიდან ვილნოს მთელ ამბავს ებრაელს ახვევს კისერზეო (ტაშის ცემა მარცხნიდან). **ბულატი** აღნიშნავს, რომ სანამ საიდუმლო პოლიციის დღევანდელი სისტემა არსებობს, მემარცხენეთა პარტიები, რომელნიც მარტოდ მარტო უნდა ჩაითვალონ ხალხის ინტერესების დამცველებათ (ატყდება საშინელი ყვირილი მარჯვნიდან და ორატორი სიტყვას ვერ ათავებს). **გეგეჭკორი** ამბობს, რომ მთავრობის განცხადებას პროვოკაციის შეუწყნარებლობის შესახებ არ ამართლებს არც წარსული, არც აწმყო, არც მომავალი, რადგან მთავრობის მთელი მოღვაწეობა პროვოკაცია არისო. თავის სიტყვას გეგეჭკორი ათავებს ფორმულით: „მივიღებთ რა მხედველობაში, 1) რომ „ოხრან. ოტდელ“. ამ ჟამად სახელმწიფოს მთავარ დაწესებულების როლს თამაშობს, რომელსაც სათათბიროს უმრავლესობაც კი ემორჩილება (ატყდება ხმაურობა მარჯვნიდან და ორატორი სიტყვას ვერ ათავებს). ბარონი **მეიენდორფი** ოქტომბრისტების მხრით აცხადებს, რომ „ოხრან. ოტდელ.“ მოქმედებაში ყველაფერი ვერ ჩაითვლება რიგიანადაო, ამიტომ ფრაქციას შემდეგი ფორმულა შემოაქვსო: „ვიღებთ-რა მხედველობაში მთავრობის განცხადებას, დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი ნამდვილად ეცდება პროვოკაციის მოსპობას და შეუდგება პოლიციის რეორგანიზაციას“-აო. **ბობიანსკის**-კადეტების მხრით აგრეთვე შეაქვს ფორმულა, რომელიც ამბობს: რადგან მთავრობის განმარტება არ გვაკმაყოფილებს და ვილნოს პოლიციის არა-კანონიერი მოქმედება დამტკიცებულად მიგვაჩნია, რადგან ასეთი მოქმედება პოლიტიკურ პოლიციისა ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელიც თან ახლავს მმართვა-გამგეობის თანამედროვე სისტემას... (ატყდება საშინელი ხმაურობა და ორატორი სიტყვას ვერ ათავებს). **მარკოვი მე-2** აცხადებს, რომ მთავრობის განმარტებამ სრულიად დაარღვია ზღაპარი ვილნოს პოლიციის არა-კანონიერ მოქმედებათა შესახებ და ამიტომ ჩვენ, მემარჯვენენიო, არ ვეთანხმებით არც ოქტომბრისტების ფორმულას, რომელშიაც ფარულად გამოთქმულია იგივე აზრი, რასაც მემარცხენენი პირდაპირ ამბობენო.

კიდევ მცირე კამათის შემდეგ იწყება კენჭის ყრა. ტრუდოვიკების, სოც.-დემოკრატების და კადეტების ფორმულები უარყოფილ იქმნენ. ოქტომბრისტების ფორმულას მხარი დაუჭირა 174 დეპუტატმა წინააღმდეგ 169-სა. პურიშკევიჩ, ზამისლოვსკი და სხვა მემარჯვენენი მოითხოვენ ახალ კენჭის ყრას (სხვა და სხვა კარებში გასვლას), რადგან პირველი გამოურკვეველი არისო. თავმჯდომარე ყოყმანობს, აცხადებს—საჭირო არაო. მემარჯვენეებს ემხრობიან მემარცხენენიც და მოითხოვენ განმეორებით კენჭის ყრას. მეორედ აღმოჩნდა, რომ ოქტომბრისტების ფორმულა მიღებულ იქმნა 175 ხმით წინააღმდეგ 167-სა.

## აკაკის იუბილეი

**სახ. უნივ. სათეატრო სექცია.** 23 ნოემბერს ტფ. სახალხო უნივერსიტეტთან არსებულმა სათეატრო სექციამ განიხილა საკითხი აკაკის საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობის მიღების შესახებ. სექციამ დაადგინა, აირჩიოს სამი კაცი დეპუტატებად და დაავალოს ადრესის მირთმევა იუბილიარისთვის.

—

**ლექცია რუსულად.** უმაღლეს კურსების ინიციატორთა მეცადინეობით, ილია ნაკაშიძე რუსულად ოთხ ლექციას წაიკითხავს მგოსნის აკაკი წერეთლის შესახებ. პირველი ლექცია დანიშნულია 28 ნოემბრისათვის.

—

**სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოება.** სომეხთა საქველ-მოქმედო სიზოგადოების ტფ. განყოფილების გამგეობამ დაადგინა, მიიღოს მონაწილეობა აკაკის საიუბილეო დღესასწაულში და პატივი სცეს მგოსანს ადრესის მიირთმევით.

**ადრესები.** აკაკის მთავარმა საიუბილეო კომიტეტმა დაადგინა, სთხოვოს ადგილობრივ კომიტეტებს და და დეპუტატებს, რომ მისალოცი ადრესები რაც შეიძლება მოკლედ შეადგინონ.

—

**ქუთაისი.** აკაკის იუბილეზე დასასწრებლად ქალაქის გამგეობას თავის მხრით დაუნიშნავს გამგეობის წევრი ი. ს. ფანცხავა, საბჭოს მხრივ კი დანიშნულნი არიან ს. ი. ხეჩინოვი და ბ. ბ. მოსეშვილი.

—

**სტამბოლი.** აქაურ ქართველ სასტუდენტოებშიაც ჩამოვარდა დაბარკი ბოლეტის აკაკი წერეთლის იუბილეზე. ყველას ერთნაირად სასურველად მიაჩნდა, რომ სტამბოლში მეოცეს ქართველობასაც მიეღო მონაწილეობა ამ დღესასწაულში და აღენიშნა იგი რაიმე კეთილი საქმით. მაგრამ ასრულებასაც შეუდგნენ და ნოემბრის ექვსში, მოთავეთა ინიციატივით, მოხდა კრება, რომელზედაც ბანმა ვ. წერეთელმა მიმართა დასწრეთ შემდეგის სიტყვით: „ორშოც და ათი წელიწადი შესრულდა, რაც საქართველოს საუკეთესო შვილმა აკაკი წერეთელმა დაიწყო საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მას აქეთ განუწყვეტლივ ემსახურება საშშობლო ქვეყანას და დიტერატურას. ბევრი სიმღერე, ბევრი ტანჯვა და შეეაწროება გამოიარა ამ სნის განმავლობაში, მაგრამ მგოსანმა გული არ გაიტეხა, არ უღალატა თავის მოწოდებას და .მ ქ-ტეცხლშიაც მხნედ აწარმოვა ქართულ დიტერატურის სვეტედი. არც მუქთად ჩაუარა შრომამ: მის ხელში ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობა აყვავდა და გაიფურჩქნა. მისი ჩანგის სიმები ამ დღიდან აქამომდე შეადამ ხალხის გულთან იყო გადაბმული, ერის ჭირ-ვარამს კარშემო ეკერდა. ამიტომ იგი შეაქმნა ხალხის სიყვარულ ბოტ. საქართველოში იშვიათია იმისთანა წერა-კითხვის მცოდნე კაცი, რომ არ გაეგოს, ვინ არის და რა არის აკაკი; მისი ტკბილი ლექსები, ბევრი სამღერად გადაკეთებული, დღეს უველგან გაიგონება. ამ ნოემბრის დამდეგს მთელი საქართველო დღესასწაულობს მის მოღვაწეობის 50 წლის თავს. კუთხე არ არის ჩვენის ქვეყნისა, რომ ბოტის საიუბილეოდ არ ემზადებოდეს და ჩვენც, სტამბოლელი ქართველები, შევუერთდეთ ჩვენს სამშობლოს. გამოვარკვიოთ, რა სახით შევიღოთ მონაწილეობა აკაკის იუბილეში და რით ადღნიშნოთ იგი“.

ამ სიტყვის შემდეგ გაიმართა კამათი. ბევრი რამ გამოსთქვეს. სთქვეს ისიც, რომ სასურველია ერთი მასწავლებელი ვეთანხმოთ ქართულ ენისა, ორეულ ჩვენი შვილები ქართულს ეფუიბენ. კრებამ აირჩია კომიტეტი, რომელსაც დავალა მოისაზროს, რა სახით იქმნას გადახდილი აკაკის იუბილეი სტამბოლელ ქართველობისგან და აზრუნოს მან მოწოდებაზე; მიმართოს სტამბოლში მეოთე ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს მოწოდებით, აუხსნას საქმის ვითარება და შეაგრძნოს შემოერთდეს ეროვნულ ... ეროვნულ ... ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდეს შემდეგი ნიხრი. ძროხის ...რცი—11 კაპ., ცხვრისა—13 კაპ. ... კამეჩ ს.—8 კაპ. პურის ნიხრი ...ალებულ იქმნა: ფურნის პური—...ოთხედი კაპიკით, თორნისა—ნახევარი კაპიკით. ნიხრი დასამტკიცებლად საბჭოს წარედგინება.

✦ **წევრად არჩევა.** ამას წინად ...ვკ. შინა მრეწველობის კომიტეტმა ...ეის წევრად აირჩია კავკ. სამოსწველო ოლქის მზრუნველი ნ. თ. ...ულოლფი. კავკასიის ნამესტნიკმა ...ნი რუდოლფი დამტკიცა აღნიშნულ თანამდებობაზე.

✦ **ახალი წიგნი კიტა აბაშიძისა.** რედაქციამ მიიღო კიტა აბაშიძის ახალი წიგნაკი „აკაკი წერეთელი“ (სალირიკო პოეზია). წიგნაკი ...ამ შაურად ღირს.

✦ **სოლოლაკის გვირაბი.** უკვე ...ასრულდა გვირაბის გაჭრა სოლოლაკის გორის ქვეშ. ამისთვის 23 ნოემ...ბერს კონცესიონერებმა მიიწვიეს ...ქალაქის თავი, გამგეობის წევრნი ...და საბჭოს ხმოსნები, გზის უფროსი ...ბნი ნეიგებაუერი, ტფ. გუბერნა...ტორი და ვიცე-გუბერნატორი, ტფ. ...კრედიტო დაწესებულებათა წარ...მომადგენელნი და სხვანი (სულ ას ...ორმოც კაცამდე). გვირაბი გაიარეს ...ფარნებით ნაშუადღევის 2 საათზედ. ...მოწვეულთ ბოტანიკურ ბაღში უცდიდა სუფრა სახანდრით. ქალაქის ...თავმა სიტყვა წარმოსთქვა და უსურვა კონცესიონერებს საქმის სასურველად დაბოლოვება. შემდეგ გაიმართა საუზმე.

✦ **გიმნაზიის დირექტორის წასვლა.** საჩქაროდ წავიდა ტფილისიდან ვაჟთა მესამე გიმნაზიის დირექტორი დიაჩკოვ-ტარასოვი. ამბობენ, აღარ დაბრუნდებაო. (ნ. ზ.).

✦ **საბეჭდავი მაშინები.** გაზეთ „ტფ. ლისტოკ“-ის საბეჭდავად ბერლინიდან გამოუწერიათ ამ წყობი მაშინები. მაშინები უკვე მიუღიათ.

✦ **ტფ. გენერ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფ. გ.-გუბერნატორის დადგენილებით, სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დასჯილ იქმნენ: ...ვანე გოთუა 500 მან. დაჯარიმებით, დავით თათაროვი, სერგო მი...ნეევი, მოსე ნუღელი და გრიგოლ ...ნიკოლაევი თითო 10 მან. დაჯარიმებით. თითო თუმნითვე იქმნენ დაჯარიმებულნი ნინო მახანაშვილი და ...ლუკა ტყეშელაშვილი..

✦ **ჯამაგირი.** ტფ. ქალაქის გამგეობას უფულობისა გამო დღემდე ჯამაგირი ვერ დაურიგებია მოხელე მოსამსახურეებისათვის. ამბობენ, ჯამაგირს მოხელენი ერთი კვირის შემდეგ მიიღებენო.

✦ **ყაზბეგის საქსოვი სახელოსნო.** კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტმა ამ დღეებში შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის საბჭოს წინაშე, სოფ. ყაზბეგის საქსოვ სახელოსნოს შესანახად 1909 წლის განმავლობაში საერობო თინხიდან გადაიდოს 500 მანეთი.

✦ **ლექცია ერობის შესახებ.** კვირას, 23 ნოემბერს, თავ. გ. მ. თუმანოვმა პუშკინის ბიბლიოთეკის სადგომში წაიკითხა ლექცია ერობების შესახებ. ბ-ნმა თუმანოვმა დაწვრილებით აღწერა, რა ფუნქციებს ასრულებს საერობო სამმართველო გუბერნიასა და მაზრაში და როგორ ექვემდებარებიან ეს დაწესებულებანი საგუბერნიო და სამაზრო ეროებათა კრებებს.

✦ **სტიპენდიის განთავისუფლება.** ზუბალაშვილის სახელობის სტიპენდიებიდან განთავისუფლდა ერთი სტიპენდია უმაღლეს ან საშუალო სპეციალურ სასწავლებელში. თხოვნებს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა მიიღებს 25 დეკემბრამდე.

✦ 20 ნოემბერს იურიდიულ საზოგადოებაში მოხდა თანამდებობის კანტორა არჩევნები. თავმჯდომარედ აირჩიეთ ძველი თავმჯდომარე კ. ლემერმანი, თავმჯდომარის ამხანაგად—ბ. იუზგინსკი და გ. გვაზავა; მდივნებად—ს. კუსიკოვი და ბ. ბროდსკი; ხაზინადრად—ვ. ცოფანოვი; ბიბლიოთეკრად—ს. კუდრეკინი.

✦ 23 ნოემბერს, საღამოს 5 საათზედ, მიხეილ ლაზიევის ტრაქტირში უეცრად გარდაიცვალა ვიღაც უცნობი კაცი, რომლის გვამი მიხეილის საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

✦ თეოდოსიის ქუჩაზე (სახლი № 9) კიევის გუბერნიის მცხოვრებ იუსტინე მშერაკმა ჩხუბის დროს თავის საყვარელს ვერა მიასნიკოვს სახეზე შეასხა რაღაც სითხე, რისგანაც ქალს დაეწვა სახე, გული და ხელები. მშერაკი დააპატიმრეს.

✦ ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ანფის ბელოუსოვს პოლიციის მოხელეთა შეურაცხყოფისთვის მიესაჯა ერთი თვით დაპატიმრება და შემდეგ საგენერალ-გუბერნატოროდან სრულიად გაძევება.

## ქუთაისი

✦ **ეკლარის მადნის გაცემა.** ქალაქის გამგეობას დაუდგენია, იჯარით გასცეს ეკლარის ქვის მადანი, რომლისაგანაც ამ უამად ძლიერ ცოტა შემოსავალი აქვს ქალაქს, ასე რომ თითქმის ხარჯსაც ვერა ჰფარავს.

✦ **თხოვნა.** ქალთა უფასო სასწავლებლის უფროსმა ქ-მა ტრიჩენკო-რუბანისამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, მიიღოს ხელფასიანი სასწავლებელი თავის გამგეობის ქვეშ.

✦ ქალაქის გამგეობამ სთხოვა ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს, მხარი დაუჭიროს სიბჭოს მიერ აღძრულ შუამდგომლობას ქალაქის წყალგადმა ნაწილში დროებით ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის განყოფილების გახსნის შესახებ.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სასწორების შემოსავალი იჯარით მისცეს ს. მამარდაშვილს სამი წლის ვადით, წლიურად 4400 მანეთად. ამგვარად სასწორების შემოსავალმა მოიმატა წლიურად, 1900 მანეთით.

# ზერელები

**სამტრედია.** ჰქრება ყველა ის კარგი დაწესებულება, რომელსაც განმათავისუფლებელი მოძრაობა უყრიდა საძირკველს სოფლის ცხოვრებაში. ვის არ ახსოვს გაზეთების ცნობებიდან იმ დროის ამბები: ამა და ამ საზოგადოებამ ანუ სოფელმა უარჰყო უაზრო დღეობები. ან და ამ და ამ სოფელმა გადასწყვიტა აღმოაჩინოს ქურდ-ბაცაცები და შანტაჟისტებიო. კიდევ, ამ და ამ სოფელში აუკრძალეს ამიერიდან ამა და ამ პირებს მარჩიელობა და სხვა ამისთანეები. დღეს სოფლის ცხოვრებას ისევ ძველებურად შავი ზეწარი ეფარება თავს: საზოგადოების სიმართლის ხმას გასავალი არა აქვს და ბევრი შავ-ბნელი ძალა სარგებლობს ჯერ კიდევ უვიცი ხალხით. ბევრი ვაჟბატონი, რომელიც განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ფარისევლობით იცხებდა ხალხის მოძრაობის მომხრეობის მირონს, დღეს სარგებლობს იმით, რომ მაშინ ხალხი მოკეთეთ გააცნო თავი და ტყავს აძრობს. არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა აღნიშნული გაზეთებში ამათ საგმირო საქმეებიდან. მეც მინდა ერთი ასეთი ამბავი აღვნიშნო:

დაბა სამტრედიაში კარგა ხანია აფთიაქის მაღაზია აქვს ნესტორ კიკაჩეიშვილს. ამ კაცს არავითარი საექიმო ცოდნა არ ჰიუღია, მაგრამ თავი კი ნამდვილ ექიმად მოაქვს. მას მდაბიო, უვიცი ხალხი ბლომად იცნობს და, სარგებლობს რა მათის კარგ განწყობილობით, ექიმის სახელს იხვეჭს და ასნაირ ექიმობაშობით ცალკე ფულს იჩხრიალებს და ცალკე ავადმყოფობას უძნელებს. როგორც ზევით ვთქვი, ამ ვაჟბატონს აფთიაქის მაღაზია აქვს სამტრედიაში და სწორედ ამით სარგებლობს: ატყუებს უვიცი ხალხს, ეუბნება—მე ავადმყოფს უსასყიდლოდ გავსინჯავ და მხოლოდ წამლის ფასი გადაიხადეო. ასეც იქცევა: მიეა ავადმყოფთან, როგორც ექიმი, დასწერს რეცეპტს და წაიღებს თავის მაღაზიაში; აქ ეხლა მეორე თანამდებობას ასრულებს—პროვიზორობას: ამზადებს თავისივე ხელით წამლებს და თავის ნიხრით ასაღებს უვიცი ხალხში. ეს ვაჟბატონი ისე თავს გავიდა აქოური ექიმების დაუდევრობისა გამო, რომ ბებიობასა და ქირურგობასაც კი ეწევა. როგორც გავიგე, სამტრედიალ ექიმებიდან ბევრნი მიდიან ამ ვაჟბატონების ნაექიმარნი, რომელნიც ჯანითაც დაუძლურებულან ბატონ ნესტორის წამლობისა გამო და ქონებიდანაც დაცლილან. ერთი ამგვარი ავადმყოფი მისულა ადგილობრივ ექიმ ჯაშთან. ბ-ნი ჯაში მოთმინებიდან გამოუყვანია ამ ზავადმყოფის დანახვა და, როგორც გავიგე, წერილი მიუწერია კიკაჩეიშვილისთვის და შეუთვლია, თავი დაანებე ასეთ საქმეებსაო. კიკაჩეიშვილს კი წერილითვე შეურაცყოფა მიუყენებია ჯაშისთვის, როგორც ექიმისთვის, და ურჩევია, თავი დამანებე, თორემ პროგრესისტის სახელს დაჰკარგავო. მახლას, თურმე ნუ იტყვით, კიკაჩეიშვილის თავგასულების ალაგვმა პროგრესისტობის დაკარგვასა ნიშნავს: საჭიროა, ადგილობრივმა ექიმებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და ბოლო მოუღონ მაღაზიის პატრონის ექიმობაშობას, თორემ მერე თვითონვე ინანებენ, რადგან ხალხი იმას იფიქრებს, რომ ამ ვაჟბატონთან თვითონ სამტრედიის ექიმებსა აქვთ დამოკიდულებაო ამასთან მივმართავ იმ ინტელიგენტ ვაჟბატონებსაც, რომელთაც აგენტობა უკისრნიათ ბ-ნ ნესტორ კიკაჩეიშვილისა და ათასნაირ ქსელს ამბავენ უვიცი ხალხის მოსატყუებლად, დაანებონ თავი ასეთ საქმეს, თორემ არც მათი სახელები ასცდება გაზეთების ფურცლებზე აღნიშვნას.

**კრუხი.**

# სპარსეთის ამბები

**მიტინგი თავრიზში.**

21 ნოემბერს თავრიზში დიდის 10 საათზე—მიტინგი გამართეს ზოგიერთ პოლიტიკურ საკითხის გადასწყვეტად. მიტინგს დასწრო 500-მდე მუსულმანი და სომეხი. დაესწრნენ აგრეთვე სოფლელნი და ბიდირ-ხანი. მუსულმანმა ორატორებმა გაიხსენეს ქართველთა და სომეხთა ორგანიზაციების დახმარება და მოითხოვეს, შაჰის ტახტიდან გადაეყენებინა მეტლანდუთა. ერთმა სომეხმა ორატორმა ორსავ ერს შეერთება ურჩია საერთო მტერთან საბრძოლველად. (ბ. ს.).

**არეულება ასტრაბადში.**

„რეიტერ“-ს ატყობინებენ თეირანიდან რომ ასტრაბადში აჯანყება დაიწყოო. გუბერნატორმა უბრძანა ხალხს, დაამზადეთ შეტიცა, რომელშიაც შაჰს მადლობა უნდა გამოუცხადოთ კონსტიტუციის გაუქმებისათვისო. ხალხმა უარი უთხრა ამაზე. დაკეტა ბაზრები და გაიცხადა, მზად ვართ თავი დავდვათ კონსტიტუციისთვისო. ქალ. ასტრაბადს გარშემო მდებარე სოფლები შეიარაღდნენ და მიემხრნენ ქალაქელებს. არსენალი განსაცდელშია. გუბერნატორს ეშინიან, ვაი თუ რუსმა ზარბაზანი დაუშინოს ქალაქსაო.

ასტრაბადის მცხოვრებლებმა დეპეშა გაუგზავნეს უცხოეთის ხელმწიფეს თეირანში და სთხოვეს, ეცადენით რომ კონსტიტუცია აღადგინოს შაჰმა და არავინ შეიძლება ჩქარა შოიწვიოს შეჯდისაო. ასტრაბადში გაკრეს ბრიგადამატიები, რომელებშიაც მკაცრადა დაკმობილი შაჰის მოქმედება.

**თეირანში**

შაჰის უკანასკნელი ბრძანება კონსტიტუციის გაუქმების შესახებ, ეტეობა მთავრობის დაუკითხავად გაუკრავთ. შაჰმა უბრძანა გარეშე საქმეთა მინისტრს, ამის თაობაზე სინანული გამოუცხადა ინგლისის და რუსეთის წარმომადგენლებსო. გუბერნატორსაც სასტიკი შენიშვნას მივსცემოო.

**მარაღის ახალი გუბერნატორი**

ეინუდ-დოულეს ბანაკში საჩქაროდ მოვიდა შაჰის მიერ ახლად დანიშნული მარადის გუბერნატორად შუჯაუდ-დოულის სხვა ელემენტი.“ მარინესკოს ამგვარი აზრი სრულად ეთანხმება იმ ფაქტს, რომ სიბერის დროს ადამიანს უფრო დიდხანს რჩება აზრის მუშაობა, ვიდრე ფიზიკური ძალა. მაგრამ მეჩნიკოვი მაინც ამბობს—ნერვის უჯარი რომ უფრო ამტანი იყოს მაკროფაგებზე, მაშინ როგორღა დასძლევდნენ ესენი მას, როგორ შეიძლებოდა მაშინ ბებრულ მილევის გათვალისწინება? ნუ თუ ყველა ზემო მოყვანილიდან არა სჩანს, რომ არა გვაქვს არავითარი საფუძველი მოვლენის მიზეზად ჩავთვალოთ ის, რაც შეადგენს მისს პირდაპირ შედეგს? ეს უკანასკნელი მით უფრო ახლოა სიმართლესთან, რომ ამ შემთხვევაში ადვილად ვიშორებთ თავიდან ყოველგვარ ზემო მოყვანილ უთანხმოებას და ფაგოციტების მოქმედებას ვითვალისწინებთ, როგორც რაიმე განსაზღვრულს და სხეულისათვის სასარგებლოს.

მართლაც და მივაქციოთ ყურადღება იმ მილევის მოვლენას, რომელიც ეტყობა თავდიდას ბაყაყად შეცვლის დროს. ამ შეცვლის დროს, როგორც ვიცით, თავდიდას კუდი თანდათან ელევა და ხდება მაკროფაგების საჩოდ, მაგრამ თავდიდას კუდი იმისთვის კი არ ელევა, რომ იგი მაკროფაგებმა შესჭამონ, არამედ იმისთვის, რომ, შეცვლის კანონის ძალით, კუდი ხდება არა საჭირო ელემენტად სხეულისათვის, მაკროფაგებიც სჭამენ მას, როგორც უსარგებლო ორგანოს. ამ შემთხვევაში ფაგოციტები ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას, ე. ი. იცავენ სხეულს და აცლიან მას, რაც საჭირო აღარაა მისთვის.

ეკვლევარს თავისებური შეხედულება ჰქონია ფაგოციტების როლზე, რომ ამ გვარ პირობებში ძნელია ...ადაჭრით უპირატესობა მივცეთ ...რომელსამე სწავლულს. ყველა ესენი დიდ ჯ მკვლევარებად ითვლებიან, ...ველას სახელი განთქმული აქვს, ...ველა ერთისა და იმავე თეორიის ...მიმდევარად ითვლება და თან ყველა ს... ...ა და სხვას გვეუბნება. ...ითხველ... დიდ გაჭირვებაშია და ეს ...ხსნება იმით, რომ ფაგოციტური ...თეორია ჯერ კიდევ არ არის სავსებით გამორკვეული, რომ მას ჯერ ...ადევ ბევრი ნაკლი აქვს. საფიქრებელია, რომ ბეზრედკაც და ...ოდვისოკიც დიდად აზვიადებენ მაკროფაგების მნიშვნელობას, მაშასადამე, მართალი უნდა იყოს მეჩნიკოვი და თუ მართალია მეჩნიკოვი, მაშინ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მაკროფაგები დიდ მოსაწილეობას იღებენ სხეულის უჯრების ბრძოლაში, მაგ. ჭლექის ...ბაქტერიებთან და სცდილობენ მხარი დაუჭირონ კეთილშობილ უჯრებს? ვიმეორებთ, ყოველივე ეს ...დიდად გაუგებარია მეჩნიკოვის თეორიაში და, ვგონებთ, ჯერ კიდევ ...ადრი რამეა საჭირო, რომ ეს თეორია ჯეროვნულად იყოს დასაბუთებული.

მეჩნიკოვის აზრით, სიბერე წარმოადგენს კეთილშობილ უჯრებთან ...ბრძოლის დროს მაკროფაგების გაძლიერებას. მეჩნიკოვი ფიქრობს, რომ ...ესაძლო უნდა იყოს ბებრულ მილევს მოვლენის შესუსტება შრატშეშხაპუნებით. ჯერ არავის გამოუგონია ამგვარი შრატი, მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ გამოიგონეს და მიჰყვეს ხელი ცდას, მერე რა? რას მოვიგებთ ამგვარის შრატით? ადვილად შესაძლებელია ამ შრატმა დაასუსტოს მაკროფაგები, სიბერის ხანის მოახლოვებაც განაგრძოს, მაგრამ ეს დასუსტება ხომ მოაშორებს მათ მავნე ბაქტერიებთან (მაგალ., ჭლექის) ბრძოლის ნიჭსაც! ხომ ვნახეთ ზემოდ, რომ კეთილშობილ უჯრების დამცველად ჭლექის ბაქტერიების შესევის დროს ითვლებიან მაკროფაგები. და თუ ასეა., ნუ თუ უკეთესი არ იქნება კაცობრიობისათვის, გამოიგონონ იმგვარი შრატი, რომელმაც შესძლოს ჭლექის თავიდან მოშორება? მაკროფაგები სიბერის დროს იჩენენ თავიანთ მამაცობას. ჭლექის ბაქტერიები კი ყოველთვის და ყველგან ესტუმრებიან ხოლმე ადამიანს, ისინი არც დროს აქცევენ ყურადღებას და არც ადგილს და როგორც გამოუანგარიშნიათ მეშვიდედ - მეხუთედი ყველა სიკვდილისა მთელ დედამიწის ზურგზე ამ ბაქტერიების მოქმედების შედეგი ყოფილა (მეჩნიკოვი: „ორი საჯარო ლექცია ჭლექზე“, 1888 წ. ოდესა). მაშასადამე, მაკროფაგები რომ დავასუსტოთ, ნუ თუ ამით გზას არ მივცემთ ჭლექის ბაქტერიებს თავისუფლად ითარეშონ ყველგან და ყოველთვის? რა უფრო სანატრელია, მოვიშოროთ ჭლექი თუ სიბერე?

აი, ამ გვარ უთანხმოებითაა სავსე მეჩნიკოვის თეორია მაკროფაგებზე! წინად, სანამ მეჩნიკოვი შეუდგებოდა სიბერის მოვლენის ახსნას, მისი თეორია მშვენიერ, დალაგებულ თეორიად ითვლებოდა. ის ბევრ რასმეს ვიხსნიდა და გვითალისწინებდა. ჩვენც აღტაცებით ვისმენდით ამ სწავლას და გვჯეროდა, რომ ფაგოციტები სხეულის დიდი დამცველნი იყვნენ; ჩვენ ვერავითარ უთანხმოებას ვერა ვხედავდით მათ მოქმედებაში, მაგრამ როდესაც იგი შეუდგა სიბერის ახსნას, აუარ-დაურია სხვა და სხვა ცნება და დღეს ეს თეორია ყველაფერს ველარ გვიხსნის.

როგორც წინა წერილში ვნახეთ, ფაქტები სრულიად არ გვიმტკიცებენ, რომ მილევა, როგორიც უნდა იყოს იგი—ფიზიოლოგიური თუ პათალოგიური, უსათუოდ მაკროფაგების მოქმედების ბრალი იყოს; პირიქით, როგორც აღნიშნული იყო, უჯრებს უმაკროფაგოდაც შესძლებიათ მილევა, მაშასადამე, მაკროფაგები აქ არაფერს შუაში ყოფილან. ამასთან ბებრული მილევა რომ ისე ხდებოდეს, როგორც მეჩნიკოვი გვასწავლის, უეჭველია, თავდაპირველად უნდა მილეულიყვნენ, როგორც უფრო გრძნობიარე, ჯერ ნერვების უჯრები, მერე მუსკულების, ჯირკვლების, სხეულის საფარის; ერთის სიტყვით სიბერე უნდა დაწყებულიყო შიგნიდან და გამოსულიყო გარეგ. ნამდვილადაკი სულ სხვასა ვხედავთ: სიბერის დროს ადამიანს თავდაპირველად აკლდება ფიზიკური ძალა და ბოლოს სულიერი; ხშირი მოვლენაა, რომ სიბერის დროს ადამიანი ფიზიკურად დავრდომილს ჩაჰმოგავს, მოძრაობის თავიც აღარა აქვს, მაგრამ გონებით კი საღია.

მეჩნიკოვის სწავლით მაკროფაგები იმარჯვებენ კეთილშობილ უჯრებზე იმის გამო, რომ ეს უკანასკნელნი უფრო სუსტნი არიან და უფრო ნაკლებ ამტანნი. ამგვარი დასკვნა მეჩნიკოვს გამოჰყავს იმ ფაქტიდან, რომ ნერვების უჯრები შხამს უფრო გრძნობენ, ვიდრე მაკროფაგები. თუ ეს დასკვნა მართალია, გაუგებარია, როგორ შეიძლება შესაფერის შრატით მაკროფაგების დასუსტება ისე, რომ არ დაზიანდნენ კეთილშობილი უჯრებიც? ეტყობა, მაშასადამე, შესაძლო ყოფილა იმ გვარი შხამის არსებობა, რომლის ატანა უფრო ადვილად შესძლებია მაკროფაგებს, ვიდრე კეთილშობილ უჯრებს. და თუ ეს ასეა, რა საფუძველი აქვს მეჩნიკოვს, როდესაც გვარწმუნებს, რომ „აუარებელი შხამი, რომელიც შედის სხეულში, უსათუოდ უფრო სჩაგრავს კეთილშობილ უჯრებს, ვიდრე მაკროფაგებსაო“. ნუ თუ იმ მოვლენიდან, რომ ნერვების უჯრები უფრო გრძნობიარენი არიან, ვიდრე მაკროფაგები, ის უნდა დავასკვნათ, რომ პირველნი უფრო ნაკლებ ამტანნი არიან? ნუ თუ შეუძლებელია, ვინმე გრძნობელი იყოს და თანვე დიდი ამტანიც? რამდენად თვითნებობს პროფ. მეჩნიკოვი ყველა ამგვარ შემთხვევაში, შეგვიძლია დავრწმუნდეთ შემდეგიდან. ნერვების უჯრები განირჩევიან დიდის მგრძნობელობით და ამისათვის ცოტა ამტანნი არიანო, ამტკიცებს მეჩნიკოვი. ამგვარი დებულება ხელსაყრელია მეჩნიკოვის ბებრობის სწავლისათვის, მაგრამ დავუგდოთ ყური რას ამბობს ამაზე მეორე გამოჩენილი ნევროლოგი მარინესკო: „იმის მიუხედავად, რომ ნერვის უჯარი ყოველგვარ შხამს დიდად ჰგრძნობს, მაინც უეჭველია, რომ ეს უჯარი ყველაფერს უფრო იტანს, ვიდრე სხეულის სხვა ელემენტი.“ მარინესკოს ამგვარი აზრი სრულად ეთანხმება იმ ფაქტს, რომ სიბერის დროს ადამიანს უფრო დიდხანს რჩება აზრის მუშაობა, ვიდრე ფიზიკური ძალა. მაგრამ მეჩნიკოვი მაინც ამბობს—ნერვის უჯარი რომ უფრო ამტანი იყოს მაკროფაგებზე, მაშინ როგორღა დასძლევდნენ ესენი მას, როგორ შეიძლებოდა მაშინ ბებრულ მილევის გათვალისწინება? ნუ თუ ყველა ზემო მოყვანილიდან არა სჩანს, რომ არა გვაქვს არავითარი საფუძველი მოვლენის მიზეზად ჩავთვალოთ ის, რაც შეადგენს მისს პირდაპირ შედეგს? ეს უკანასკნელი მით უფრო ახლოა სიმართლესთან, რომ ამ შემთხვევაში ადვილად ვიშორებთ თავიდან ყოველგვარ ზემო მოყვანილ უთანხმოებას და ფაგოციტების მოქმედებას ვითვალისწინებთ, როგორც რაიმე განსაზღვრულს და სხეულისათვის სასარგებლოს.

მართლაც და მივაქციოთ ყურადღება იმ მილევის მოვლენას, რომელიც ეტყობა თავდიდას ბაყაყად შეცვლის დროს. ამ შეცვლის დროს, როგორც ვიცით, თავდიდას კუდი თანდათან ელევა და ხდება მაკროფაგების საჩოდ, მაგრამ თავდიდას კუდი იმისთვის კი არ ელევა, რომ იგი მაკროფაგებმა შესჭამონ, არამედ იმისთვის, რომ, შეცვლის კანონის ძალით, კუდი ხდება არა საჭირო ელემენტად სხეულისათვის, მაკროფაგებიც სჭამენ მას, როგორც უსარგებლო ორგანოს. ამ შემთხვევაში ფაგოციტები ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას, ე. ი. იცავენ სხეულს და აცლიან მას, რაც საჭირო აღარაა მისთვის.

ნუ თუ ესევე არ უნდა ემჩნეოდეს სხეულს ბებრულ მილევის დროს? უეჭველია, აქაც ამ გარემოებას უნდა ჰქონდეს ადგილი: აქაც მაკროფაგები სჭამენ იმ უჯრებს, რომელნიც აღარ არიან საჭირონი სხეულისათვის. აქაც მაკროფაგები დიდ სამსახურს უწევენ სხეულს; ისინი რომ არა, უეჭველია, სხეულს უფრო მალე მოეღებოდა ბოლო. ამ მხრით, რასაკვირველია, საჭირო აღარ უნდა იყოს ბრძოლა ამ მაკროფაგებთან. ბებრული მილევა, როგორც თავდიდას კუდის მილევა, ფიზიოლოგიური მილევაა, იგი მაკროფაგების დამოუკიდებლად ეწევა ხოლმე ორგანიზმს; კვანძების უჯრები შეასრულებენ თუ არა თავიანთ დანიშნულებას, მიილევიან და კვდებიან. აქ ფაგოციტები დარაჯობენ სხეულს და არ ანებებენ ლეშებს მოსწამლონ ჯერ კიდევ ცოცხალი ორგანიზმი!..

სიბერის მოვლენის ამ გვარის განმარტებით მაკროფაგების როლი, როგორც სხეულის დამცველებისა, ყოვლად ეთანხმება ფაგოციტების დანიშნულებას. თვით ფაგოციტური თეორია ხელ მისაწდომ თეორიად რჩება, რომელსაც არავითარი უთანხმოება აღარ ეტყობა. ამ რიგად ფაგოციტებიც არ უნდა ითვლებოდნენ სიბერის მიზეზად. მაშ სადაა ეს მიზეზი? რისთვის ბერდებიან ორგანიზმები?

მაგრამ ამაზე შემდეგში.

**დ. ახვლედიანი.**

# ოსმალეთი

**გენერლის მოკვლა**

19 ნოემბერს საღამოს დივიზიის უფროს გენერალთან იზმაილ-მაღირ-ფაშასთან მოვიდა უცნობი კაცი წერილით, რომელშიაც გენერალს იწვევდნენ სამდედრო მინისტრთან. გზაში იზმაილ-მაღირ-ფაშა მოჰკლა აფიცერმა. მკვლელი დაიმალა (ბ.ს).

**არჩევნები.**

„რუსკ. ვედომოსტი“-ს სტამბოლელი კორესპონდენტი ცოცხლად ასწერს საპარლამენტო არჩევანს სტამბოლში.

8—12 ნოემბერს სტამბოლში ირჩევდნენ ამომრჩევლებს. ქუჩებში განუწყვეტლივ იმართებოდა მანიფესტაციები და დემონსტრაციები. ხალხი ბაირაღებით და მუსიკის ორკესტრებით მიდიოდა საარჩევნო ბიუროებისკენ და უმაღლეს მთავრობის სადგომისკენ. საარჩევნო ბიუროებთან იმართებოდა ნამდვილი პიკნიკები; ორატორები წარმოსთქვამდნენ სიტყვებს. ხალხი ისე იყო გახარებული, როგორც ფრანგი რევოლიუციონერები ბასტილიის განადგურების შემდეგ.

საარჩევნო ბიუროებთან კაცების ჯგუფებს გარდა მოშორებით ჩანდნენ დახურული ოსმალური ურმები ...ლ ... ...ბ ... ...ბ ... ...ბ

ქალებით და ბავშვებით. ქალებსაც-კი დაუღწევიათ თავი სულის შემხუთველ ჰარამხანებსა და მისულან საერთო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად, არჩევნების საყურებლად. აქედან ცხადად სჩანს, თუ რა ძლიერად აღფრთოვანებული და გახარებული აქაური ხალხი.

სტამბოლის არჩევნები მით უფრო შესანიშნავია, რომ ეს მართლაც და თავისუფალი არჩევნებია, რადგან ოსმალეთს აქვს უდიდესი მედნიერება—ახალ წესწყობილების შექმნის დროს ჰყავს პასუხის მგებელი სამინისტრო. ამიტომ მოქალაქეს ზურგს უკან არ უდგას პოლიციელი, ვერავინ „წაათრევს“ პოლიციის ნაწილში და „ხალხის უმაღლესი უფლება“ იძულებული არაა თავი მოიხაროს „უწესოების დამცველთა“ უფრო უმაღლეს უფლების წინაშე.

ერთმა ინციდენტმა ხომ უფრო ძლიერად მაგრძნობინა, რომ მეცხოვრობ ისეთს ქვეყანაში, სადაც მთავრობას მართლაც და შეგნებული აქვს თავისუფლებისა და მოქალაქეებისადმი პატივისცემის იდეები.

ბერძნებმა, არჩევნებით უკმაყოფილოებმა, დემონსტრაცია მოახდინეს. ათი ათასზე მეტმა კაცმა გაიარა პერაზე, გალატზე (უბნების სახლებია) და სტამბოლზე თითქმის ალყა შემოარტყა უმაღლეს მთავრობის სადგომს. ბერძნებმა მოითხოვეს არჩევნების გაუქმება და ოსმალთა „ბოროტ-მოქმედების“ მოსპობა.

მიწად-მოქმედების მინისტრი მავროკორდატო, ბერძენი ჩამომავლობით, გულმოდგინედ ამშვიდებდა ხალხს, მაგრამ ამაოდ. თითონ კიამილ-ფაშა ჩაერია საქმეში და აუხსნა ბერძნებს, რომ არჩევნების გაუქმება შეუძლიან მხოლოდ პარლამენტსაო, მაგრამ ბერძნები მაინც არ დამშვიდნენ. მაშინ მინისტრთა საბჭომ დადგინა: ბიულეტენებს წარდგენის ადგილას გაგრძელებულ იქნას, რომ ყველა ბერძენს შეეძლოს საარჩევნო უფლების მოხმარება; ბერძნებს უფლება მიეცეს თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნონ არჩევანზე ბიულეტენების თვლის დროს დასასწრებლად; დასასრულ, მინისტრი მავროკორდატო დაუყოვნებლივ წავიდეს მეექვსე საარჩევნო ნაწილში, სადაც უთანხმოება მოხდა, გამოსაძიებლად, თუ რამდენად საფუძვლიანია ბერძნების საჩივარი.

მაგრამ დემონსტრანტები ისე იყვნენ აღელვებულნი, რომ არც ამას ეასჯერდნენ. კიამილ-ფაშას, როელმაც გამოუცხადათ, რომ ბერძნების ყველა კანონიერი მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნებაო, ითხოვეს ხელმოწერილი პირობა. მავროკორდატოს ეტლს დაეჭრეს ოვედები. აშკარა იყო, რო ბერძნებს მთლად დაჰკარგოდათ სიდინჯე. მაშინ სცენაზე გამოვიდნენ „კონსტიტუციონალური ჯარები“.

ამბა წარმოიდგინეთ, რა ხოცვა-ლეტა გაიმართებოდა ჩვენში, რუსეთში, ათი-ათას კაცს რომ ამის მსგავსი რამ გაებედა. ვფიქრობ, რომ თვით საფრანგეთის რესპუბლიკაშიაც კი სანაქებოდ დატრიალდებოდა და იმუშავებდა პოლიციელის კეტი და მუშტი. მაგრამ „ნახევრად ბარბაროსულ ოსმალეოში კი“ სულ სხვა მოხდა. ჯარი მაგარ რკინის რგოლივით შემოერტყა ბერძნებს და გაშეშებული დადგა. შიგ რგოლში ფრიალებდა ბაირაღები, მღვდლები წარმოთქვამდნენ გახურებულ სიტყვებს ბერძნები ყვიროდნენ, იგინებოდნენ -ჯარის-კაცები კი პირ-უჩუმრივ უძრავად იდგნენ და ხალხს არსად უშვებდნენ. ამნაირად გავიდა ერთი საათი, გავიდა მეორე. ხალხს მობეზრდა უაზროდ დგომა და ნელ-ნელა მანიფესტანტები თითო-თითოდ გაძვრნენ ჯარისკაცების რგოლიდან. ერთ საათში ხალხი სულ დაიფანტა, ჯარის-კაცები კაზარმებში წავიდნენ; ერთი კაციც არავინ დაუტუსაღებიათ და არაფერით არ ჩაუშხამებიათ ხალხისათვის სიხარული.

## გალკანეთი

**ომის ლანდი.**

მადიარული გაზ. „პესტერ-ჟურნალი“ არჩევს ეხლანდელ საერთაშორისო მდგომარეობას და ამბობს, რომ თუ რუსეთი ბალკანეთის საქმეში ჩაერევა და ავსტრ-ჰუნგრეთს ომით დაემუქრება, მაშინ გერმანია გაახსენებს რუს-ხელმწიფეს, რომ გერმანია საკავშირო ხელშეკრულობის ძალით მოვალეა ავსტრია დაიცვას რუსეთის დაცემისაგან. ამ შემთხვევაში საფრანგეთმაც უნდა გადასწყვიტოს საკითხი, მხარი დაუჭიროს რუსეთს, თუ არა. თუ საფრანგეთი მხარს დაუჭერს რუსეთს, მაშინ დიდ განსაცდელში ჩავარდება 13 მილიარდი, რომელიც რუსეთმა ისესხა საფრანგეთისგან. მაგრამ საფრანგეთს იმითაც დიდი ზარალი მოუვა, თუ რუსეთს უარს ეტყვის და მხარს არ დაუჭერს. საფრანგეთი დიდადაა დაინტერესებული, რომ ომი არ მოხდეს. ომი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საფრანგეთი მოინდომებს. თუ ფრანგები ყურადღებით წაიკითხავენ 1879 წლის საკავშირო ხელ-შეკრულობას, დაინახავენ, რომ ავსტრიის იმპერატორმა ფრანციოსებმა მეტი გააკეთა საფრანგეთისთვის, სინამ რუს-ხელმწიფემა და ინგლისის მეფემ. საფრანგეთის დიპლომატია ცდილობს სხვა სახელმწიფოებთან ერთად ძალა დაატანოს ავსტრ-ჰუნგრეთს, რომ იგი ულაპარაკოდ წარუდგეს კონფერენციას, მაგრამ თუ ავსტრია არ შეშინდა და ამის პასუხი სერბიასა და ჩერნოგორიას მოსთხოვა, მაშინ საფრანგეთი იძულებული იქნება წინააღუდგეს ამ ომს, რომლის პასუხის გება სისხლით თუ ფულით მარტოდმარტო მასვე, საფრანგეთს, მოუხდება. (ვ. ს.)

**ავსტრიის საქონლის ბოიკოტი.**

ავსტრიის საქონლის ბოიკოტი ოსმალეთში ძლიერდება. ოსმალეთის მთავრობამ, როგორც ავსტრიელები ამბობენ, სულაც ვერ დაუშალა ხალხს ბოიკოტი.

**ავსტრია ომის თადარიგშია.**

ხმა დადის, რომ ვენაში სამხედრო საბჭო ადგენს ულტიმატუმს, რომელიც სერბიას უნდა ჩააბარონო. ავსტრიამ 75,000 სათადარიგო ჯარისკაცი დააყენა თოფ-ქვეშ.

ამბობენ, რომ ავსტრიამ გადასწყვიტა იმპერატორის საიუბილეოდ დღესასწაულის შემდეგ ომი გამოუცხადოს სერბიასაო.

სარაევოდან იუწყებიან, რომ ბოსნიასა და ჰერცოგოვინას მთებში ავსტრიელი დამსჯელი რაზმები მოქმედებენო. რაზმებს შეტაკება მოსდით სერბებთან. ორსავ მხარეს ბევრი ხალხი ეხოცება. მოკლულთა შორის ბევრი ავსტრიელი აფიცერი ურევიაო.

## ილია ჭავჭავაძის ფონდი

**ქუთაისი.** გაახლებთ დასაბეჭდად ანგარიშს ქუთაისში ილია ჭავჭავაძის სახელობაზედ გამართულ საღამოს შესახებ. ამასთან საჭიროდ მიმაჩნია, ულრმესი მადლობა გამოვუცხადო შემდეგ პირთ, რომელთაც ხელი შეუწყეს საღამოს გამართვას: ქ-ნთ ნინო დავითაშვილს, მარიამ ქავთარაძისას, ელენე ჩიქოვანისას, ნ. ჯავახიშვილისას და სხვებს; ბ-ნთ ი. მეუნარგიას, ნ. ერისთავს, ს. ხუნდაძეს, შ. დადიანს, გ. თუთბერიძეს, ვ. შალიკაშვილს, ალ. შარაშიძეს და სხვებს.

შემოვიდა 368 მ. 83 კ., დ. წულუკიძისაგან პრემია 3 მ. სულ 371 მ. 83 კ.

დაიხარჯა: თეატრის ქირა—73 მ. 76 კ., პარიკმახერს 6 მ., აფიშების დაბეჭდა და გაკვრა—8 მ., რეკვიზიტი—4 მ. 40 კ., პიანინოს გადმოტანა—3 მ. 50 კ., მუსიკა 20 მ., შალიკაშვილს და ჯავახიშვილისას 30 მ., ყვავილები ბათუმიდან და ქუთაისში, გირლიანდები და სხ.—16 მ., ტანისამოსის ქირა—12 მ. 20 კ., „კაცია ადამიანის“ როლების გადაწერა—2 მ. 50 კ., ტელეგრამები, ფაიტონი, მოსამსახურენი და სხვა წვრილი ხარჯი—20 მ. 47 კ., სულ დაიხარჯა—196 მ. 83 კ.

წმინდა შემოსავალი დარჩა ას სამოცდა თხუთმეტი მანეთი (175 მ.), რომელიც ამასთანავე ეგზავნება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

საღამოს გამგე **მ. ჭიჭოძე.**

## რუსეთი

**✦ გაზეთის დაჯარიმება.** ადმინისტრაციას გაზეთი „სარატოვ. ვესტნ.“ დაუჯარიმებია 300 მანეთით. მიზეზი—მიწათ-მოქმედების მთავარ-მმართველის სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვის გარჩევაა.

**✦ „ჭეშმარიტ რუსების“ შუამდგომლობა.** სარატოვის ეპისკოპოსი გერმოგენი და მღვდელ-მონოზანი ილიოდორე შინაგან საქმეთა მინისტრის და სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგის რევიზიის შემდეგ სხვაგან გადაჰყავდათ. ეხლა, როგორც რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ, „ჭეშმარიტ რუსები“ შუამდგომლობენ თურმე უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ეპისკოპოსი გერმოგენი და მღვდელ-მონოზანი ილიოდორე სარატოვში იქმნენ დატოვებულნი, როგორც „კრამოლასთან“ მებრძოლნი.

**✦ ხოლერის მსხვერპლი პეტერბურგში.** პეტერბურგის ქალაქის სასანიტაროო ბიუროს ცნობით, პეტერბურგში ხოლერას, სენის დაწყებიდან აქამომდე, უმსხვერპლნია 3,342 კაცი. ავად გამხდარა 8259 კაცი.

**✦ ჩამოხრჩობა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ელისავეტოგრადში 2, ეკატერინოსლავში 3, ვორონეჟში 1, ვილნოში 1, ხარკოვში 1, რეველში 1, ტომსკში 1, ორიოლში 2.

**✦ საერო განათლების მინისტრის ცირკულიარი.** საერო განათლების მინისტრმა გამოსცა ცირკულიარი, რომლითაც გიმნაზიების და რეალურ სასწავლებლების ლირექტორებს უფლება ეძლევათ თავისით დაითხოვონ ის მასწავლებლები, რომელნიც თავიანთ დანიშნულებას რიგიანად არ ასრულებენ. აქამომდე მასწავლებლების დათხოვნა უმაღლეს მთავრობისაგან იყო დამოკიდებული. რაღა თქმა უნდა, დირექტორები ისარგებლებენ ამ უფლებით და გასწმენდავენ სასწავლებლებს.

**✦ სასულიერო სემინარიის რეფორმა.** სინოდთან არსებულ სამოსწავლო კომიტეტს უკვე დაუმთავრებია სასულიერო სემინარიების რეფორმის პროექტი, სასულიერო სემინარიებში საღვთისმეტყველო კლასების რიცხვს უნდა მოემატოს, ორი კლასის მაგივრად უნდა იყოს 3. საზოგადო განათლების კლასებს კი უნდა დაეკლდეთ, 4 მაგივრად სამი უნდა იყოს. ამას გარდა სემინარიაში სხვა საღვთისმეტყველო საგნებსაც შემოიღებენ, მაგალ., პატრისტიკას. აგრეთვე განხრახულია სემინარიის მოწაფეების აღმზრდელი ნაწილიც შესცვალონ, ამიტომ სასულიერო სემინარიების რევიზია მოხდება. პროექტის ავტორია სემინარიელებს გაუძნელოს უმაღლეს საერო სასწავლებლებში შესვლა.

**✦ ექიმები.** ალექსინსკის მაზრის საერობო ექიმებს, ყველას, ერთის გარდა, სამსახურისთვის თავი დაუნებებიათ. საქმე იმაშია, რომ ამას წინად საერობო კრებამ დახურა საექიმო-სასანიტაროო საბჭო. ამის პროტექტის გამოსაცხადებლად ექიმებმა სამსახურს თავი დაანებეს,

**✦ პურიშკევიჩი.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი პურიშკევიჩი 26 ნოემბერს სათათბიროში კავკასიის საქმეთა მდგომარეობის შესახებ ილაპარაკებს. თავის სიტყვაში იგი შეეხება კავკასიის სასამართლოების მდგომარეობას, კავკასიის ეკლესიას და მის მოსამსახურეებს, ადგილობრივ ადმინისტრაციის უმოქმედობის და კავკასიის საშუალო სკოლის მდგომარეობას.

**✦ სენატორი გარინი.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება სენატორმა გარინმა მოსკოვის რევიზია მოახდინა და ბევრი უსამართლობაც აღმოაჩინა. ეხლა როგორც გაზეთება გადმოგვცემენ, სენატორი გარინი ხელმეორედ მოახდენს მოსკოვის რევიზიას. სენატორს ერთი დიდი სახლი დაუქირავებია, სადაც თითონ და მისი თანაწამწე მოხელანი მოთავსდებიან. მიზეზი ხელმეორე რევიზიისა—ახალ უსამართლოების აღმოჩენაა.

**✦ სამართალში მიცემა.** გაზეთების სიტყვით, „ნოვოე ვრემია“-ს თანამშრომელს გენერალ ალექსეევს (ბრუტს) სამხედრო-საოლქო სამართალში აძლევენ. გენერალმა ალექსეევმა საზღვაო სამინისტროს შესახებ ბევრი ცნობა დაბეჭდა, რომელმაც სინათლე მოჰფინა სამინისტროს მოქმედებას. ალექსეევს მექრთამეობას აბრალებენ.

**✦ ლექსიკონის აღკრძალვა.** ცენზურამ აღკრძალა სიტინის უცხო სიტყვების ლექსიკონი. მიზეზი აღკრძალვისა, გაზეთების სიტყვით, რევოლიუციონურ ტერმინების ვრცლად განმარტებაა.

**✦ ებრაელები.** ამ ბოლო დროს ებრაელები მაჰმადის სარწმუნოებაში გადადიან, რითიც ისინი სასწავლებლებში გზას იკაფავენ და უპროცენტოდ შედიან უმაღლეს სასწავლებლებში. ამისთვის ყურადღება მიუქცევია სასულიერო დეპარტამენტს და შესდგომია მუსულმანთა სარწმუნოებაში გადასულ ებრაელების უფლების განსაზღვრას.

**✦ გადასახლებულნი.** მარტო ორენბურგში ინგლისის კონსულს სტქმეთა სამინისტროს სადგომში გრეთ გასხსნა სეერთა-შორისო კონფერენცია სახლგაო შელების შესახებ. მოვიდნენ წარმომადგენელნი ევროპის ყველა დიდ სახელმწიფოსი და აგრეთვე ათამანიისა, ამერიკისა, ესპანიისა და ჰოლანდიისა. კონფერენციის გახსნას დესწრნენ დიპლომატიური წარმომადგენელნი თითქმის ყველა სახელმწიფოსი. გრეთ სალამი უძღვნა კრებას და ადნიშნა, თუ რა ცოვი 10,000 კაცს უარის თქმა. გადასახლებულთა მდგომარეობა აუწერელია, რადგან ეჭირა საშინელი სიცივეები დაუჭერია.

## უცხოეთი

**ეროვნული ბრძოლა ავსტრიაში.**

ვენაში 20 ნოემბერში სადაზის ჩეხი-რადიკალი დეპუტატი კლაფჩი ვასშმობდა ერთს რესტორანში. ქვემო ავსტრიის სეიმის დეპუტატმა გერმანელმა შეიდერმა დაიძახა, რომ კლოფჩი სახელმწიფო მოღალატეა. რესტორანში მყოფი გერმანელები—რამდენიმე ასი კაცი—მაშინვე ეცნენ კლაფჩს.

21 ნოემბერს ჩეხთა პარტიების დეპუტაციამ კრამარჟის მეთაურობით ნროტესტი გამოუცხადა ავის თავმჯდომარეს ფეხკირსნერს, პირველ მინისტრს ბინერტს და ჟუნის ქალაქის თავს ლუეგერს.

ავსტრიის პალატის სხდომის დაწყებისას ჩეხმა-რადიკალებმა მოახდინეს დემონსტრაცია ეფირდოთ და სტეფანით, სხდომის დასასრულს კრამარჟმა ილაპარაკა ამ შეურაცხყოფაზე, რომელიც მიაყენეს რესტორანში ჩეხთა რადიკალურ პარტიის წევრს კლაფჩს, და მოითხოვა დეპუტატთა ხელუხლებლობის დაცვა პარლამენტის კარეთ. თავჯდომარემ უპასუხა, რომ ეგ საქმე უნდა გადაეხადოს ქალაქის თავსაო. დემონსტრაცია მიმართული იყო პირადად კლაფჩის წინააღმდეგ და არა ჩეხიის ეროვნების წინააღმდეგო. ამ სიტყვებს ნროტესტით შესვდნენ ჩეხები, თავჯდომარის გინცხადებამ დიდი ლაპარაკი გამოიწვია. დეპუტატები ძლიერ აღელდნენ.

სხდომის განახლებას შემდეგ ჩეხთა კლუბის წევრმა უდრუჟკამ ადნიშნა, რომ მთავრობამ ბრაკაში სამხედრო წესები გერმანელთა გულის მოსაგებად შემოიღოო. გერმანელები მინისტრ შრეინერთან ერთად არიან უმთავრესი მიზეზი ბრაკაში მომხდარ ამბებისაო. ადვილი მოსახერხებელი იყო, რომ არეულობა ჩეხიაში სრულიად არ მომხდარიყო. ჩეხიის ეფელა დეპუტატები ოპოზიციაში გადავდენ, თუ ჩეხიაში დაუყოვნებლივ არ გაუქმდება სამხედრო წესები. (ვ.ს.)

**საერთაშორისო საზღვაო კონფერენცია**

ლონდონში ინგლისის კარეშე სქმეთა სამინისტროს სადგომში გრეთ გახსნა საერთა-შორისო კონფერენცია სახლგაო შელების შესახებ. მოვიდნენ წარმომადგენელნი ევროპის ყველა დიდ სახელმწიფოსი და აგრეთვე ათამანიისა, ამერიკისა, ესპანიისა და ჰოლანდიისა. კონფერენციის გახსნას დესწრნენ დიპლომატიური წარმომადგენელნი თითქმის ყველა სახელმწიფოსი. გრეთ სალამი უძღვნა კრებას და ადნიშნა, თუ რა საფუძვლიანი მიახნია ინგლისს საჭირად კონფერენციის მუშაობისათვის. (ვ. ს.)

ქალ. ლიუბლიანში სლოვენებმა მანიფესტაციები გამართეს ჩესებისადმი თანაგრძნობის გამოსაცხადებლად. მანიფესტანტებს შეტაკება მოუვიდა პოლიციასთანა და ჟანდარმთან.

**350 მეთევზის დაღუპვა.**

იაპონიაში კავასუს ყურეში ტაიფუნმა (ქარიშხალი ზღვაზე) ჩაძირა 350 მეთევზის ნავი. ფიქრობენ რომ 350 მეთევზეა დაღუპულიო. (ვ. ს.)

**ჩეხების პოლკის აჯანყება.**

ბრაკაში ავჯანყდა ჩესების პოლკი. მოჰკლეს ორი ოფიცერი. ამ პოლკის დასამშვიდებლად გაგზავნეს გერმანელთა პოლკი. (ვ.)

## ღია წერილი

**ტფ. სათ.-აზნაურო გიმნაზიის გამგეს**

ამ რამდენიმე ხნის წინად მიაბარეს მიწას ტოდმა და ამსანაგებმა ქართულ გიმნაზიის მასწავლებელი გიორგი ეზაბაშვილი. ჩვენულებად მიღებულია, ბატონი სტეფ. ცხედარს ეველა ნაცნობმა, რასაკვირველია, ვისაც როგორ შეუძლია. სწორედ ასეც იყო: ვისაც რაგორ შეეძლო, ამხანაგს უსურვა სამუქვეყნოდ გახსენება და ეკურთხეა. მხოლოდ ერთი რამ არა სასიამოვნო მოგვდენა თვალში ეხეჩებოდა დამსწრეს, რომლის ახსნასაც ეველა ჭდამობდა, მაგრამ სასტიკი მიზეზი მასთვის კი ვერავის გამოუნახა.

საქმე იმაშია, რომ არც ბანაშვილს და არც განსვენების დღეს წირვას არ დაესწრო გიმნაზიის სორო, რომ ან „საუკუნოთ იყოს“ ან უბრალო „უფალო შეგვიწყალენ“ ეგალობნა, გაეგზავნა ოსნებისა წესი და მაო აგვეტდინა თავიდან უფაზოთ გალობა შემოსვლით მოგროვილ დიაკვნებისა. ეს კიდევ არაფერი, რომ იქვე უფრო არა სასიამოვნო ხმა არ გავრცელებულიეო საფლავზე: თურმე სათავად-აზნაურო გიმნაზიას ხორო არა ყავს... აი სწორედ ეს გარემოება გვაიძულებს მივმართოთ გიმნაზიის გამგეს და ვთხოვოთ აგვიხსნას, რა მიზეზია, რომ ამ დროს, როცა გიმნაზიაში გალობის მასწავლებელს ეძლეოდა ჯამაგირად 50 მან., სასწავლებელს თავლსაჩინოდ გაწერონილი ხორო მოეხოვებოდა, რომელსაც ჭირში და ლხინშიაც გამოიყენდა, ეოველ კვირა-უქმობით კალოუბნის ეკეკლესიაშიც გალობდა და ეშალა, როცა ხუთიაქვსი წლის განმავლობაში იმავე საგნის მასწავლებელს, თუ არა ვცდები, ოც თუმნამდე გასამრჯელო ეძლეოა თვეში, გიმნაზიას ხორო ადარა ჰყავს.

**ი. კარგარეთელი.**

**წერილი რედაქციის მიმართ**

გულითად მადლობას ეუძღვნი ყველას, ვინც თანაგრძნობა გამოუცხადა ავადმყოფობის დროს. დიდად ვწუხვარ, რომ, საზღვარ გარეულ გამგზავრების გამო, აზეალება არა მაქვს ყველას კერძოდ მოვახსენო ეს მადლობა.

ტფილისის გუბერნიის თ ვად-აზნაურობის წინამძღოლი **თ. გიორგი ბაგრატიონ-დავითიშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
**ივანე სოზიაშვილი.**

## განცხადებანი

**ექიმი ს. მ. ჩიქოვანი**

გადაკიდა ელისაბეტის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის მაწლოებლად საკუთარს სახლში, N 15; ავადმყოფებს იღებს 12—2 საათამდის ყოველ დღე. (25—591—16)

**ქ. ქუთაისში**

**თ. ა. მთავრიშვილის**

**წიგნის მაღაზიაში**

(ალექსანდრ. ქ. ბულვარის მაწლოებლად, ფიშ. ზ. ბიკენრიას შენობაში)

იყიდება ყოველგვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელოები და საკითხავი წიგნები.

სოფლის მასწავლებლებს, სოფლის სკოლებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ დაკლებულ ფასით.

აქვე იყიდებაწიგნი **გუთანი,** ოჯახსა და სკოლაში ყრმათათვის საკითხავი, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების ი. ოცეწლის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ. ფასი 80 კ. (15—ნ.—11)

**მეგელიანი ნომრები**

**„ხარგინი“**

**გიორგი მიკირტუმოვისა.**

პირველ ენკენისთვიდან გაიხსნა ახლად მოწყობილი ნომრები

**„ხარგინი“ ქ. ტფილისში რიყეზე**

ხოსროვების ქარვასლაში, სახლი № 92. შესანიშნავი სისუფთავეა, ფასები ზომიერია. ნომრებში იმყოფება **ექიმი** ხირურგიულისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. იღებს დილის 10 ნახევრიდან—11 ნახევარ საათამდის.

(14—ხალ.—6)

**!!!წაიკითხეთ!!!**

**ქუთაისში,** ალექსანდრე კოსტავას მაღაზიაში, თბილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქის გვერდით:

ეს-ეს არის მივიღეთ ყოველ გვარი **შეკერილი ევროპიული ტანისამოსი** და თეთრეული კაცებისათვის და აგრეთვე რუსული და საზღვარ-გარეთელი მატერიები კაცის სატანისამოსოთ, რომელსაც ვყიდით არშინობით და ვკისრულობთ შეკერვასაც.

**ფასები ძლიერ დაკლებულია**

(7—ფ—4)

GRAND PRIX

1870 წ. პარიზი 1900 წ. 1882 წ.

1865 წ. 1896 წ.

**დედამიწაზე**

**საუკეთესო**

# ბალო�sპი

**სამ კუთხით**

**1860.**

**T.P.A.P.M**

**С.ПЕТЕРБУРГЪ.**

**რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობა**

**ამ ფირმით „ТРЕУГОЛЬНИКЪ“**

**ს.-პეტერბურგში**

სრული პასუხის-მგებლობა საქონლის სიკარგისა.

**იყიდება ყველგან** (50—ნ.—30)